

„ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდი კოლექტივების კონკურსში“ მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში არსებულ ნებისმიერ საგუნდო კოლექტივს, რომელიც აკმაყოფილებს და ეთანხმება საკონკურსო პირობებს.

კონკურსი ტარდება სამი კატეგორიის მიხედვით:

1. აკადემიური სიმღერა;
2. ქართული ხალხური სიმღერა;
3. ქართული გალობა.

თითოეული კატეგორია მონაწილეთა მიხედვით იყოფა სამ ქვეკატეგორიად (A, B, C). სამივე კატეგორიის B ქვეკატეგორიაში მონაწილეობის მიღება შეუძლია **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გუნდებს.**

კონკურსის ორგანიზატორები არიან:

- საქართველოს საგუნდო საზოგადოება
- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
- ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი
- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

კონკურსის მხარდამჭერები არიან:

- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

კონკურსის მიზნებია:

- აკადემიური საგუნდო სიმღერის პოპულარიზაცია;
- ეროვნული სასიმღერო ტრადიციების დაცვა;
- ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების პოპულარიზაცია;
- ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მხარდაჭერა და მონიტორინგი.

კონკურსი ტარდება ორ ტურად: I - რეგიონული 15.03 – 20.03;

II – ფინალური 28.03 – 30.03

I და II ტურს აფასებს სხვადასხვა ჟიური. ფინალური ტურის ჟიურის შემადგენლობაში მიწვეული იქნება საერთაშორისო დონის უცხოელი საგუნდო დირიჟორი.